

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მედიცინის ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: „კლინიკური და ტრანსლაციური მედიცინა“

თამუნა გვიანიშვილი

**ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა:
ჰისტოპათოლოგია, იმუნოჰისტოქიმია, პროგნოზი**

მედიცინის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფესორი ლიანა გოგიაშვილი

თბილისი

2022 წელი

აბსტრაქტი

უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე ფარისებრი ჯირკვლის კიბოს (TC), განსაკუთრებით კი პაპილური მიკროკარცინომის (PTMC) დიაგნოსტიკური სიხშირე, ბევრ ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა. ფარისებრი ჯირკვლის კვანძის დიაგნოსტიკის მიდგომების ცვლილებამ, კერძოდ, ულტრაბგერითი და ულტრაბგერის კონტროლით ასპირაციული ნემსით აღებული მასალის ციტოლოგიურმა კვლევამ შეიძლება ნაწილობრივ შეუწყოს ხელი მისი გამოვლენის სიხშირის კიდევ უფრო ზრდას.

ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა (PTC) არის ყველაზე გავრცელებული ტიპის TC, რომელსაც ახასიათებს კარგი პროგნოზი. იგი სისტემური ავთვისებიანი სიმსივნეების 1%-ს შეადგენს. ხასიათდება მაღალი კლინიკური სიხშირისა და დაბალი სიკვდილიანობის მაჩვენებლით.

ფარისებრი სტრუქტურის პათოლოგიური ტრანსფორმაციის სიძნელებმა გამოიწვია სადიაგნოსტიკო მეთოდების, შედეგების კლასიფიკაციისა და სისტემატიზაციის აუცილებლობა.

ჩვენი გამოკვლევის მონაცემთა ბაზას წარმოადგენს ორივე სქესის პაციენტებიდან მიღებული ოპერაციული მასალა ტოტალური თიროიდექტომიის, ფარისებრი ჯირკვლის ცალმხრივი ლობექტომიის და ნაწილობრივი რეზექციის შემდეგ (n=68). ასევე გამოყენებულია რეტროსპექტიული მასალა (n=48).

კვლევის პირველ ეტაპზე ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა უბნებიდან აღებული ქსოვილოვანი ნიმუშები შევისწავლეთ რუტინული ჰისტოლოგიური მეთოდებით.

შემდგომ ეტაპზე კვლევის მიზანი იყო p63, CD56, TTF-1, Cyclin D1 და S-100 ცილის ექსპრესიის აქტივობის კვლევა ფარისებრი ჯირკვლის ყველა შესწავლილი დაზიანების დროს (PTC; PTMC; Hashimoto Thyroiditis (HT); HT+PTC; Riedels Thyroiditis (RT); Graves disease).

კვლევის შედეგების საფუძველზე მიღებულია შემდეგი დასკვნები:

ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომისა (PTC) და მიკროკარცინომის (PTMC)

სიმსივნურ ქსოვილში წარმოდგენილია კლასიკური ვარიანტის დამახასიათებელი ნიშნები: კომპაქტური განშტოებული პაპილური სტრუქტურები ფიბროვასკულური გულგულით, ვრცელი ლიმფოციტური ინფილტრაციით; „ყურძნის მტევნის“ მსგავსი და უჯრედების ბუდობრივი აგრეგაციის არქიტექტონიკით.

PTMC-ის და PTC-ის აგრესიულ მიმდინარეობასთან ასოცირებული უჯრედების ციტოლოგიურ ტიპებს მიეკუთვნება: მაღალი უჯრედები (Tall cell), „ტრამვაის ლიანდაგი“ ("tram-track"), „მეწადის ლურსმნისებრი“ (Hobnail), ასევე სვეტისებრი (Columnar) უჯრედული ტიპი.

Cyclin D1-ის მიმართ ჰაშიმოტოს თიროიდიტისა და მის ფონზე განვითარებულ PTC და PTMC რეცეპტორული სტატუსის გაძლიერება მიუთითებს პროცესის აგრესიულ ბიოლოგიურ ქცევასა და მეტასტაზურ პოტენციალზე.

ჰაშიმოტოს თიროიდიტთან (HT) ასოცირებული PTC მასალაზე CD56 ცილის კლებადი იმუნოექსპრესია უკუკავშირშია p63 ცილის აქტივობასთან და მიუთითებს სიმსივნის პროგრესიაზე.

რიდელის თიროიდიტის (RT) ქსოვილში CD56-ის ზომიერი და TTF-1-ის მაღალი ექსპრესია მიუთითებს ფენოტიპის შენარჩუნებაზე და პრეკანცერული რისკის არ არსებობაზე.

Abstract

During the last decade, the diagnostic rate of thyroid cancer (TC), especially papillary microcarcinoma (PTMC), has increased dramatically in many countries. Changes in thyroid nodule diagnosis approaches, in particular, ultrasonography and Ultrasound-guided fine needle aspiration cytology, may partially contribute to the further increase in its detection rate.

Papillary thyroid carcinoma (PTC) is the most common type of TC with a good prognosis. It makes up 1% of systemic malignant tumors; characterized by high clinical incidence and low mortality rate.

The difficulties of the pathological transformation of the thyroid structure led to the need for diagnostic methods, classification and systematization of results.

The database of the study is the operative material obtained from patients of both gender after total thyroidectomy, lobectomy and partial resection (n=68). Retrospective material (n=48) was also used.

In the first step of the research, we were studied thyroid gland tissue samples by routine histological methods.

At the next step, the aim of the study was to study the expression activity of p63, CD56, TTF-1, Cyclin D1 and S-100 protein in all studied lesions of the thyroid gland (PTC; PTMC; Hashimoto Thyroiditis (HT); HT+PTC; Riedels Thyroiditis (RT); Graves disease).

Based on the results of the research, the following conclusions were made:

Tumor tissue of papillary thyroid carcinoma (PTC) and microcarcinoma (PTMC) exhibits features characteristic of the classic variant: compact branched papillary structures with fibrovascular core, extensive lymphocytic infiltration; with a "bunch of grapes"-like and nested aggregation architecture of cells.

Cytological types of cells associated with the aggressive behaviour of PTMC and PTC include: Tall cells, Tram-track, Hobnail, and Columnar cell type.

The enhancement of Cyclin D1 expression in Hashimoto's thyroiditis and the background of Hashimoto's thyroiditis developed PTC and PTMC indicates aggressive biological behavior and metastatic potential of the process.

Decreased immunoexpression of CD56 protein on PTC material associated with Hashimoto's thyroiditis is inversely related to p63 protein activity and indicates tumor progression.

Moderate and high expression of CD56 and high expression of TTF-1 in Riedel's thyroiditis (RT) tissue indicates maintenance of the phenotype and absence of precancerous risk.

სარჩევი

| | |
|--|-----|
| აბსტრაქტი | I |
| Abstract | III |
| სარჩევი | V |
| ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი | VII |
| ცხრილები | VII |
| სურათები | VII |
| დიაგრამები | XI |
| აბრევიატურების ჩამონათვალი | XII |
| 1. შესავალი | 1 |
| 2. ლიტერატურის მიმოხილვა..... | 7 |
| 2.1 საკითხის კვლევის აქტუალურობა | 7 |
| 2.2 ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა კლასიფიკაცია | 9 |
| 2.3 ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეები | 10 |
| 2.4 ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ქვეტიპები | 16 |
| 2.5 ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა (PTMC) | 25 |
| 2.6 ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების დიაგნოსტიკური კრიტერიუმები | 26 |
| 2.7 ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT)..... | 27 |
| 2.8 რიდელის თიროიდიტი (RT) | 33 |
| 3. გამოკვლევის მასალა და მეთოდები | 36 |
| 3.1 ჰისტოლოგიური კვლევის მეთოდები | 36 |

| | |
|---|----|
| 3.2 Hashimoto-ს თიროიდიტის და PTC-ის კლინიკურ-ლაბორატორიული მონაცემების შეფასება | 37 |
| 3.3 იმუნოჰისტოქიმიური კვლევის მეთოდები | 37 |
| 4. საკუთარი გამოკვლევის შედეგები | 40 |
| 4.1 დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის (დტჩ) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები..... | 40 |
| 4.2 რიდელის თიროიდიტის (RT) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები | 46 |
| 4.3 ჰაშიმოტოს თიროიდიტის (HT) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები | 49 |
| 4.4 ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის (PTC) და მიკროკარცინომის (PTMC) ჰისტოლოგიური კვლევის შედეგები | 55 |
| 4.5 დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის, რიდელის, ჰაშიმოტოს თიროიდიტის, პაპილური კარცინომისა და მიკროკარცინომის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები | 64 |
| 4.6 დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები | 66 |
| 4.7 რიდელის თიროიდიტი (RT) იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები | 67 |
| 4.8 ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT) იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები | 69 |
| 4.9 ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომის (PTC) და მიკროკარცინომის (PTMC) იმუნოჰისტოქიმიური კვლევის შედეგები | 75 |
| 5. კვლევის შედეგების განხილვა | 82 |
| 6. დასკვნები | 96 |
| 7. გამოყენებული ლიტერატურა | 98 |

ცხრილების, გრაფიკებისა და სხვა ილუსტრაციების ჩამონათვალი

ცხრილები

ცხრილი N1. შემთხვევების რაოდენობა შესწავლილ ჯგუფებში.

ცხრილი N2. აუტოიმუნური თიროიდიტის სხვადასხვა კლინიკური ვარიანტის შედარებითი შეფასება იმუნომარკერების მიხედვით.

სურათები

სურათი N1. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვის ქსოვილის ფრაგმენტი: 1 - პლაზმური მემბრანის მოდიფიკაცია - მიკროხაოები, წანაზარდები, პაპილები. 2 - ფოლიკულის სანათურის გაფართოება. H&E. X200.

სურათი N2. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი, ფოლიკულურ უჯრედთა ბირთვების დისკარიოზი, პოლიმორფიზმი (1), ატიპია (2).H&E. X1000.

სურათი N3. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმაში გამოხატულია ფიბროპლასტიკური ცვლილებები ექსტრაფოლიკულურად ფიბროზული ქსოვილის კონების და კოლაგენის მსხვილი ბოჭკოების სახით. H&E. X100.

სურათი N4. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ლიპომატოზის კერები როგორც ინტერფოლიკულურ სივრცეში, ასევე სტრომაში. H&E. X100.

სურათი N5. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ლიმფოიდური ფოლიკულის ფორმირება ფარისებრი ჯირკვლის სტრომაში. H&E. X400.

სურათი N6. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ცისტური ტრანსფორმაციის მსხვილი კერა, მიკროფოლიკულების ჯგუფები, კოლოიდის „შეჭმუხვნა“. H&E. X100.

სურათი N7. დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი. ფარისებრი ჯირკვლის პარენქიმის ჰომოგენიზაცია, ფოლიკულების რედუქცია. H&E. X200.

სურათი N8. რიდელის თიროიდიტი. გიგანტური ფოლიკული მკვეთრად ფიბროზირებული კედლით. H&E, X40.

სურათი N9. რიდელის თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის სტრომაში უხეშბოჭკოვანი ფიბროზული ქსოვილის ჩაზრდა. H&E, X400.

სურათი N10. რიდელის თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების ინვოლუცია, პარენქიმის ჩანაცვლება უხეშბოჭკოვანი ფიბროზული ქსოვილით. H&E, X100.

სურათი N11. რიდელის თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულებს შორის სივრცეში ლიმფოიდური ინტენსიური ინფილტრაციის კერა ფოლიკულის კომპრესიით და დეფორმაციით. H&E, X200.

სურათი N12. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ლიმფოიდურუჯრედოვანი ინფილტრაციის მსხვილი კერა ფოლიკულებს შორის, სტრომის ფიბროზი ფოლიკულების ინვოლუციით და კომპრესიით. H&E, X200.

სურათი N13. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულების ინვოლუცია, ექსტენსიური ლიმფოიდური ინფილტრაცია ფოლიკულებისა და სისხლძარღვთა სანათურების ირგვლივ. H&E, X100.

სურათი N14. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ინტერფოლიკულური ფიბროზი პარენქიმული ელემენტების ზომისა და რაოდენობის შემცირებით, ატროფიით. მკვრივი ფიბროზული კონების მიერ მოსაზღვრე თიროიდული ფოლიკულების ჩანაცვლება. H&E, X400.

სურათი N15. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. გერმინაციული ცენტრის მქონე ლიმფოიდური ფოლიკულის ირგვლივ თიროიდული პარენქიმის ატროფია. H&E, X200.

სურათი N16. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. ლიმფოიდური ფოლიკულში გერმინაციული ცენტრი შეიცავს მსხვილ პლაზმურ უჯრედებს. (სურათი N15-ის ფრაგმენტი). H&E, X400.

სურათი N17. ჰაშიმოტოს თიროიდიტი. მსხვილი და საშუალო ყალიბის სისხლძარღვთა (1) კედლის ფიბროზი ირგვლივ ლიმფოიდური ინფილტრაციით. H&E, X200.

სურათი N18. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა (კლასიკური ვარიანტი). გამჭვირვალე, მინისებრი ბირთვები (1) პაპილური ფორმის სტრუქტურებში. H&E, X200.

სურათი N19. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნურ უჯრედებში ბირთვული ღარები და ბირთვული ფსევდოინკლუზიები (ციტოპლაზმური ინვაგინაციები). H&E, X400.

სურათი N20. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. კომპლექსური,

განმტოებული და შემთხვევით ორიენტირებული პაპილები ფიბროვასკულური გულგულით (1); ვრცელი ლიმფოიდური ინფილტრაციის კერა (2). H&E, X200.

სურათი N21. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა. სიმსივნური ველი წარმოდგენილია მაკრო- და მიკროფოლიკულური „ყურძნის მტევნის“ მსგავსი არქიტექტონიკით, აქვე ტიპური ფიბროვასკულური ცენტრალური გულგული (1). H&E, X200.

სურათი N22. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნურ ველში სიმსივნური უჯრედების ბუდობრივი აგრეგაცია („nest“). H&E, X400.

სურათი N23. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნური პარენქიმის არქიტექტონიკა „ტრამვაის ლიანდაგის“ ("tram-track") მსგავსად. H&E, X400.

სურათი N24. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. სიმსივნის მაღალუჯრედოვანი (Tall cell) ვარიანტი, სიმსივნური სტრომის ჰიალინიზაციის უბანი (1). H&E, X400.

სურათი N25. ჰაშიმოტოს თიროიდიტის ფონზე განვითარებული პაპილური კარცინომა. სიმსივნურ ველში აღინიშნება მალიგნიზაციის რისკისთვის დამახასიათებელი უჯრედები: მაღალი (1), თითისტარისებრი (2), „მეწადის ლურსმნისებრი“ (3) უჯრედები. H&E, X400.

სურათი N26. S100 ცილის დიფუზურ-შერეული ექსპრესია პარაფოლიკულურ დომენში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

სურათი N27 ა, ბ. რიდელის თიროიდიტი, p63-ის უარყოფითი რეაქცია თირეოციტებში. ექსტენსიური ფიბროზის ცენტრში არის ნოდულური ჰიპერპლაზია p63-ის ფონური ექსპრესიით კოლოიდში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X100.

სურათი N28 ა, ბ. რიდელის თიროიდიტი, CD56-ის უარყოფითი რეაქცია ფჯ ქსოვილში, დიფუზური დადებითი ექსპრესია კოლოიდში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

სურათი N29. რიდელის თიროიდიტი, ა. ფოლიკულურ უჯრედებში TTF-1-ის ძლიერი ექსპრესია. X200. ბ. TTF-1-ის ზომიერი დიფუზური რეაქცია სტრომაში. X100. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია.

სურათი N30. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ცილა p63-ის სუსტი ზომიერამდე ექსპრესია ფოლიკულის კოლოიდში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

სურათი N31. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ცილა p63-ის რეაქცია უარყოფითი ფოლიკულურ უჯრედებში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N32 ა, ბ. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, p63-ის წერტილოვანი სუსტი დადებითი ექსპრესია ცალკეულ ფოლიკულში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

სურათი N33. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, CD56-ის დიფუზური მაღალი ექსპრესია თირეოციტებში და ფოლიკულთა კოლოიდში, კეროვანი ნოდულური ჰიპერტროფიის ცენტრში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

სურათი N34 ა, ბ. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ფოლიკულურ უჯრედში CD56-ის სუსტი ზომიერამდე რეაქტიულობა პრემემბრანულ ზონებსა და კოლოიდში. სუსტი ზომიერამდე რეაქტიულობა. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.

სურათი N35. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ეპითელიუმის რეაქტიული ატიპიის შემთხვევა. Cyclin D1 დადებითი რეაქცია ციტოპლაზმაში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N36. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, FED კერებში Cyclin D1-ის ექსპრესია. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N37. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, Cyclin D1 დადებითი რეაქცია ფოლიკულურ უჯრედებში, ლიმფოციტური ინფილტრაციის ვრცელი უბნები, Cyclin D1 რეაქცია უარყოფითი. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N38. ჰაშიმოტოს თიროიდიტი, ეპითელიუმის რეაქტიული ატიპიის უბნებში მაღალი უჯრედები მკვეთრად Cyclin D1 დადებითი (ისრიტ). იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N39 ა, ბ. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, p63-ის ზომიერად დადებითი ფოკალური ექსპრესია, იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N40. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, p63-ის ექსპრესია მკვეთრად დადებითი მსხვილი სიმსივნური უჯრედების ბირთვებში, იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.

სურათი N41. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, p63 მკვეთრად დადებითი აპოპტოზურ ბირთვებში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.

სურათი N42. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, სიმსივნური უჯრედები გამსხვილებული, p63 მკვეთრად დადებითი. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X1000.

სურათი N43. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, CD56-ის არეაქტიული უბნები; ა - მაღალი უჯრედები, X400; ბ „ტრამვას ლიანდაგი“, X100. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია.

სურათი N44. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, CD56 ექსპრესია კოლოიდში, იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X100.

სურათი N45. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა, Cyclin D1 დიფუზური მაღალი რეაქტიულობა ფოლიკულური უჯრედების ციტოპლაზმაში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X400.

სურათი N46. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა, Cyclin D1 განსხვავებული რეაქტიულობა: დადებითი - ფოლიკულურ ეპითელიუმში, უარყოფითი - სტრომის ელემენტებში. იმუნოპეროქსიდაზული რეაქცია. X200.

დიაგრამები

დიაგრამა N1. p63 ცილის აქტივობა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს.

დიაგრამა N2. Cyclin D1-ის აქტივობა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს.

დიაგრამა N3. HT-ის პარენქიმაში სხვადასხვა მარკერის იმუნორეაქტიულობა.

დიაგრამა N4. PTC-ის პარენქიმაში სხვადასხვა მარკერის იმუნორეაქტიულობა.

დიაგრამა N5. CD56-ის აქტივობა ფარისებრი ჯირკვლის სხვადასხვა პათოლოგიის დროს.

დიაგრამა N6. RT-ის პარენქიმაში სხვადასხვა მარკერის იმუნორეაქტიულობა.

აბრევიატურების ჩამონათვალი

ფჯ - ფარისებრი ჯირკვალი

დტბ - დიფუზურ-ტოქსიკური ჩიყვი

PTMC - ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა. Papillary thyroid microcarcinoma

PTC - ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა. Papillary thyroid carcinoma

FNA - წვრილნემსიანი ასპირაციულია. Fine needle aspiration

PTC-N - პაპილური თიროიდული კარცინომის უჯრედთა ბირთვის თვისებები. Papillary thyroid carcinoma (PTC) nuclear features

WDT-UMP - მაღალდიფერენცირებული სიმსივნე გაურკვეველი ავთვისებიანი პოტენციალით. Well-differentiated tumors of uncertain malignant potential

HT - ჰაშიმოტოს თიროიდიტი. Hashimoto's Thyroiditis

RT - რიდელის თიროიდიტი. Riedel's thyroiditis

FED - ფოლიკულური ეპითელიუმის დისპლაზია. Follicular epithelial dysplasia

TSH - თიროიდ მასტიმულირებელი ჰორმონი. Thyroid stimulating hormone

NIFTP - ფარისებრი ჯირკვლის არაინვაზიური ფოლიკულური ნეოპლაზია პაპილურის მსგავსი ბირთვული მახასიათებლებით. Non-invasive follicular thyroid neoplasm with papillarylike nuclear features

TTF 1 - თიროიდული ტრანსკრიპციის ფაქტორი 1. Thyroid Transcription Factor 1

MMPs - მატრიქსული მეტალპროტეინაზები. Matrix metalloproteinases

VEGF - სისხლძარღვოვანი ენდოთელური ზრდის ფაქტორი. Vascular endothelial growth factor

H&E - ჰემატოქსილინი და ეოზინი. Hematoxylin and Eosin

TG - თირეოგლობულინი

TPO - თიროიდული პეროქსიდაზა

1. შესავალი

ნაშრომის აქტუალობა დიაგნოსტიკისა და მოლეკულურ-ბიოლოგიური კვლევების თვალსაზრისით

ფარისებრი ჯირკვლის ავადობის მაჩვენებლები ბოლო წლებში საგრძნობლად იზრდება, რასაც იწვევს: ბიოსფეროს რადიაციული დაბინძურება და ტექნოლოგიური პროგრესი; იოდის დეფიციტი სასმელ წყალსა და საკვებში; მედიკამენტების, განსაკუთრებით იოდის შემცველი პრეპარატების უსაფუძვლო ფართო მოხმარება; რადიოთერაპია ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი პროცესების დროს; ავადობის მაჩვენებლების ზრდას, ასევე ხელს უწყობს სადიაგნოსტიკო ტექნოლოგიების დანერგვა, როგორცაა: სკრინინგის სახელმწიფო პროგრამები, წვრილნემსიანი ასპირაციული ბიოფსია (FNA), ულტრაბგერითი გამოკვლევა და სხვა არაინვაზიური მეთოდები (Kakudo 2013; Dikbas, Duman and Guvendi 2019).

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეები, სხვა ორგანოების სიმსივნეებთან შედარებით, უფრო იშვიათია. სტატისტიკურად: ყველა ლოკალიზაციის კიბოს შორის დაფიქსირდა <1%, ლეტალობის მაჩვენებელი არ აღემატება 0,5%-ს. 100 000 მოსახლეზე ყოველწლიურად აღინიშნება 0,5-10 ახალი შემთხვევა. American Cancer Society-ის მონაცემებით აშშ-ში ყოველწლიურად დიაგნოსტირდება 18000 შემთხვევა, კვდება 1200 ადამიანი.

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეები, ძირითადად, ვლინდება კვანძოვანი ჩიყვის მქონე პაციენტების გამოკვლევის დროს, ნოდულური წარმონაქმნების შემთხვევათა 1-4%-ში.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საქართველოს ეროვნული ცენტრის სტატისტიკური ცნობარის თანახმად, 2020 წელს ენდოკრინული სისტემის ორგანოებზე ჩატარდა 2131 ოპერაცია, აქედან 2007 ჩარევა განხორციელდა ფარისებრი ჯირკვალზე. ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნებიდან ფჯ ნეოპლაზია მეორე ადგილს იკავებს ძუძუს კიბოს შემდეგ,

ხოლო 2015 წლიდან კი ფჯ კიბო სტაბილურად მეორე ადგილზეა კიბოს ახალი შემთხვევების ყოველწლიურ მონაცემებში. 2020 წელს კიბოს აღრიცხული 9435 ახალი შემთხვევიდან 821 შემთხვევა არის ფჯ კარცინომა ($\approx 8,7\%$) (დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 2021).

ლიტერატურის მონაცემებით, პაპილურ კარცინომას (PTC) სიხშირით უჭირავს პირველი ადგილი ფარისებრი ჯირკვლის ყველა ავთვისებიან სიმსივნეთა შორის, ყველაზე ხშირია ორივე სქესის 20-50 წლის ასაკობრივ ჯგუფში, ხშირად წინ უძღვის როგორც ბუნებრივი, ასევე სამედიცინო რადიაციული კონტაქტი. PTC-ს ძირითად სტრუქტურულ ელემენტებს წარმოადგენს ატიპური ფოლიკულური უჯრედები და ცისტურად ტრანსფორმირებული დვრილისებრი (პაპილური) გამონაზარდები. ეს უკანასკნელი შეიძლება ჩაზრდილი იყოს ცისტის კედელში, სიმსივნის კაფსულაში, კისრის რბილ ქსოვილებში (Sturgis and Li 2009).

თანამედროვე კვლევების მიხედვით, ფარისებრი ჯირკვლის არასიმსივნური და ანთებითი დაავადებების პათომორფოზის საკითხები კლინიკური ენდოკრინოლოგიისა და პათოლოგიის აქტუალურ პრობლემად რჩება. მრავალრიცხოვან მიმოხილვით სტატიებში საკმარისად დაწვრილებით და სხვადასხვა პოზიციებიდან განხილულია კლინიკური თავისებურებანი, დიაგნოსტიკის საკითხები და მკურნალობა [86]. ინტენსიურია კვლევები ზრდის ფაქტორების (growth factors) როლის შესახებ ფარისებრი ჯირკვლის „კლასიკური“ და აუტოიმუნური კვანძოვანი პროცესების განვითარებაში (Zimmermann et al. 2004; McHenry and Phitayakorn 2011; Rurua, Gogiashvili and Tsagareli 2013; Eszlinger et al. 2001).

ფარისებრი ჯირკვლის პაპილური მიკროკარცინომა (PTMC) არის მცირე ზომის პაპილური თიროიდული კარცინომა (PTC), რომლის დიამეტრიც 1 სმ. ან უფრო ნაკლებია. უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა PTC-ის სიხშირე, ამასთან PTMC-ის გამოვლენაც ზრდის მაღალი მაჩვენებელით ხასიათდება. მკვლევარების უმრავლესობა ასახავს სუბკლინიკური ფორმების გამოვლენათა ზრდას, როგორცაა დაბალი რისკის კარცინომების ულტრაბგერითი და ასპირაციულ-ბიოფსიური მეთოდით (FNA) აღებული მასალის ციტოლოგიური დიაგნოსტიკა.

ამდენად, პაპილური მიკროკარცინომა (PTMC) განიხილება პაპილური თიროიდული კარცინომის (PTC) ყველაზე გავრცელებული კლინიკურ-მორფოლოგიური ვარიანტი და ქირურგიული გზით ნამკურნალები ყველა თიროიდული კარცინომის შემთხვევათა თითქმის 50% (Kakudo et al. 2013).

PTMC წარმოადგენს ავთვისებიან სიმსივნეს, რომლის დროსაც მეტასტაზები ლიმფურ კვანძში ვლინდება შემთხვევათა 50%-ში. წარმოადგენს რა მაღალდიფერენცირებულ სიმსივნეს, ლეტალობის მაჩვენებელი საკმაოდ დაბალია, დიაგნოზის დასმიდან მომდევნო 10 წლის განმავლობაში შეადგენს 1%-ზე ნაკლებს. ფარისებრი ჯირკვლის კარცინომით დაავადებულ პაციენტებში კარცინომის მიკროკერები ხშირად გვხვდება, როგორც ინტრათიროიდული მეტასტაზების, ასევე მულტიფოკალური ექსტრათიროიდული კერების სახით, აღწერილია ასევე სიმსივნური ქსოვილის იმპლანტები ფარისებრი ჯირკვლის მოპირდაპირე წილში.

ინტრათიროიდული მეტასტაზებისა და ფარისებრი ჯირკვლის ნარჩენ ქსოვილში მულტიფოკალური PTMC-ის განვითარების მაღალი სიხშირე განაპირობებს ქირურგიულ ტაქტიკას - მიენიჭოს უპირატესობა ტოტალურ თიროიდექტომიას, ნაცვლად ლობექტომიისა (Kakudo et al. 2013).

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების უმნიშვნელოვანესი დიაგნოსტიკური კრიტერიუმია პაპილური თიროიდული კარცინომის უჯრედთა ბირთვის თვისებები (Papillary thyroid carcinoma (PTC) nuclear features (PTC-N)). PTC-N არის PTC-ის დიაგნოზის ოქროს სტანდარტი, მაშინაც კი, თუ კერის დიამეტრი 1მმ-ზე ნაკლებია. PTC-ს ბიოლოგიური მახასიათებლების და კლინიკური სტადიის დადგენა დიდწილად განსაზღვრავს სიმსივნის ბიოლოგიურ „ქცევას“. PTMC-ის უმრავლესობა შემოსაზღვრულია ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილით, ახასიათებს კეთილსაიმედო პროგნოზით (Kakudo et al. 2012; Kakudo et al. 2013; Pacini 2012; Liu et al. 2010; Noguchi et al. 2008).

მნიშვნელოვანია, რომ WHO-ს (World Health Organization) მიერ შემუშავებული კლასიფიკაციით, არ არსებობს პაპილური თიროიდული კარცინომის ცნობილი წინასწარი დაზიანება ე.წ. „პრეკანცერი“. ადრეული მცირე PTC შეიძლება წარმოიქმნას

ორ სხვადასხვა სიტუაციაში: ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ პარენქიმაში (de novo cancer) ან ფარისებრი ჯირკვლის კვანძში (cancer in adenoma). PTMC, ჩვეულებრივ, არის მცირე PTC, რომელიც ვითარდება ფარისებრი ჯირკვლის ნორმულ პარენქიმაში ან ფარისებრი ჯირკვლის არანეოპლაზიური დაზიანების დროს, როგორცაა ჰაშიმოტოს დაავადება. ფოკალური PTC-N ფარისებრი ჯირკვლის კვანძოვანი დაზიანებისას, ჩვეულებრივ, გამორიცხავს PTMC-ს, რადგან ყველა კვანძი, ტრადიციულად, დიაგნოსტირდება, როგორც კაფსულირებული პაპილური კარცინომა (როგორც ზოგადი ტიპი ან ფოლიკულური ვარიანტი) ან ე.წ. მაღალდიფერენცირებული სიმსივნე გაურკვეველი ავთვისებიანი პოტენციალით (well-differentiated tumors of uncertain malignant potential (WDT-UMP)). აქედან გამომდინარე, PTMC-ები, მცირე სიმსივნეები PTC-N-ით არაკვანძოვან ფარისებრ ჯირკვალში, შეიძლება განხილული იყოს როგორც PTC-ის ადრეული ფაზა ან PTC-ის წინამორბედი დაზიანება (პრეკანცერული, მოსაზღვრე დაზიანება ან grey zone lesion). ამგვარად, PTMC კონცეფცია წარმოდგება როგორც დაზიანება, რომელიც წინ უსწრებს PTC-ის კლასიკურ ვარიანტს ლეტალობის „ფიქსირებული“ (1-4%) მაჩვენებლებით (Liu et al. 2010; Kakudo et al. 2013).

ზოგიერთი მკვლევარი თვლის, რომ ჰაშიმოტოს თიროიდიტი (HT) არის პაპილური თიროიდული კარცინომის (PTC) შესაძლო რისკ-ფაქტორი, ასევე შეიძლება იყოს ავთვისებიანი ლიმფომის პრედიქტი. PTC-სა და ფოლიკულური ნეოპლაზიების დამახასიათებელი ციტოლოგიური ნიშნები ხშირად ვლინდება HT-ის დროს, სახელდობრ, ფარისებრი ჯირკვლის ასპირაციულ-ბიოფსიური (FNA) მასალის ციტოლოგიური ან პოსტოპერაციული ჰისტოლოგიური კვლევის დროს. თუმცა, მექანიზმები და თეორიული ბაზისი ასეთი ცვლილებებისა, უცნობია. ეს ეხება ატიპურ უჯრედებს HT-ის პარენქიმაში, ფოლიკულური ეპითელიუმის დისპლაზიის (FED) საკითხები და მოლეკულური მარკერები არ არის დასაბუთებული კონკრეტული კვლევების შედეგებით (Wakasa et al. 2013).

PTMC-ს კლინიკური დიაგნოზი ძირითადად დამოკიდებულია ჰისტოპათოლოგიურ სურათზე. თუმცა, ასეთი გამოკვლევის სპეციფიკა და სიზუსტე ჩვეულებრივ დაბალია PTMC-ს ინვაზიურობის გამო. ამდენად, აუცილებელია სენსიტიური და სპეციფიური

სიმსივნური მარკერებისა და პრედიქტორების გამოვლენა და დასაბუთება PTMC-ს დიაგნოსტიკისა და პრეოპერაციული შეფასების დროს.

კვლევის მიზანი

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განისაზღვრა კვლევის მიზნები და ამოცანები:

1. ფარისებრი ჯირკვლის მიკროკარცინომის ჰისტოპათოლოგიური და მოლეკულურ-ბიოლოგიური პროფილის შესწავლა/სისტემატიზაცია ფარისებრი ჯირკვლის პირობით პრეკანცერული ფონური პროცესების სტრუქტურული დასაბუთებისა და პროგნოზირების მიზნით.
2. იმუნოჰისტოქიმიური მარკერების ექსპრესიის შედარებითი შეფასების გზით ლიმფოციტური და აუტოიმუნური თიროიდიტების ფონზე განვითარებული PTMC-ის პროგნოზული კრიტერიუმების შერჩევა (ინვაზია, მეტასტაზი, რეციდივი).
3. გამოვლენა და დასაბუთება შესაძლო სტრუქტურული წინაპირობებისა, ასევე FED-ის შეფასება აუტოიმუნურ თიროიდიტსა და მის ფონზე განვითარებული პაპილური მიკროკარცინომის ქსოვილში.

დასაცავად გამოტანილი დებულებები

1. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომისა (PTC) და მიკროკარცინომის (PTMC) სიმსივნურ ქსოვილში წარმოდგენილი კლასიკური ვარიანტის დამახასიათებელი ნიშნებია: კომპაქტური განშტოებული პაპილური სტრუქტურები ფიბროვასკულური გულგულით, ვრცელი ლიმფოციტური ინფილტრაციით; „ყურძნის მტევნის“ მსგავსი და უჯრედების ბუდობრივი აგრეგაციის არქიტექტონიკით.
2. მიკრო- და კლასიკური პაპილური კარცინომის აგრესიულ მიმდინარეობასთან ასოცირებული უჯრედების ციტოლოგიური ტიპებია: მაღალი უჯრედები (Tall cell), „ტრამვაის ლიანდაგი“ ("tram-track"), „მეწადის ლურსმნისებრი“ (Hobnail), ასევე

სვეტისებრი (Columnar) უჯრედული ტიპი.

3. Cyclin D1-ის მიმართ ჰაშიმოტოს თიროიდიტისა და მის ფონზე განვითარებულ PTC და PTMC რეცეპტორული სტატუსის გაძლიერება მიუთითებს პროცესის აგრესიულ ბიოლოგიურ ქცევასა და მეტასტაზურ პოტენციალზე.
4. ჰაშიმოტოს თიროიდიტთან ასოცირებული PTC მასალაზე CD56 ცილის კლებადი იმუნოექსპრესია უკუკავშირშია p63 ცილის აქტივობასთან და მიუთითებს სიმსივნის პროგრესიაზე.
5. რიდელის თიროიდიტის ქსოვილში CD56-ის ზომიერი და TTF-1-ის მაღალ ექსპრესია მიუთითებს ფენოტიპის შენარჩუნებაზე და პრეკანცერული რისკის არ არსებობაზე.

2. ლიტერატურის მიმოხილვა

2.1. საკითხის კვლევის აქტუალურობა

ბოლო წლებში ფარისებრი ჯირკვლის (ფჯ) დაავადების პრობლემა სულ უფრო აქტუალური ხდება, რაც განპირობებულია, უპირველეს ყოვლისა, ავადობის მაჩვენებლების ზრდით. ეს გარემოება აიხსნება ბოლო ათასწლეულისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ფაქტორით: ბიოსფეროს რადიაციული დაბინძურების გაძლიერებით, სასმელ წყალსა და საკვებში იოდის დეფიციტით, ნერვული სისტემის გადაძაბვით, ტექნოლოგიური პროგრესით (ფარისებრ ჯირკვალში თიროიდული ჰორმონოგენეზის მუდმივი ცვალებადობა, მონაწილეობა ორგანიზმის ადაპტაციურ რეაქციებში), მედიკამენტების უსაფუძვლო ფართო მოხმარებით, მათ რიცხვში იოდის პრეპარატებისა და, შესაძლებელია, დიაგნოსტიკის გაუმჯობესებით (FNA, ულტრაბგერითი გამოკვლევა და სხვა) (Kakudo 2013; Dikbas, Duman and Guvendi 2019).

ფარისებრი ჯირკვალი ერთადერთი ენდოკრინული ორგანოა, რომელიც სეკრეციულ პროდუქტს დიდი რაოდენობით აგროვებს. ასევე უჩვეულოა ჰორმონის დაგროვება უჯრედის გარეთ, კოლოიდში. ადამიანის ფარისებრ ჯირკვალში დაგროვებული ჰორმონის რაოდენობა ორგანიზმის 3 თვის მარაგს წარმოადგენს. ფოლიკულის ღრუში დაგროვებული კოლოიდი თირეოგლობულინს შეიცავს, რომელიც მაღალი მოლეკულური წონის (660 kDa) გლიკოპროტეინია (Gomes-Lima, Wartofsky and Burman 2019).

ფარისებრი ჯირკვლის ფოლიკულურ უჯრედებში თირეოგლობულინი გარდაიქმნება თიროქსინად (T4) და მცირე რაოდენობით ტრიოდთირონინად (T3). T3 გამოთავისუფლდება სისტემურ ცირკულაციაში, უკავშირდება პლაზმის ცილებს (თიროქსინის დამაკავშირებელი გლობულინი, ტრანსთირეტინი) და ამ გზით ხვდება პერიფერიულ ქსოვილებში. სისხლში არსებობს თავისუფალი (ცილებთან დაუკავშირებელი) T4-ის და T3-ის გარკვეული კონცენტრაცია, პერიფერიულ ქსოვილებში კი თავისუფალი T4-ის უმრავლესობა განიცდის დეიოდიზაციას T3-ის წარმოქმნით. T3 უკავშირდება ბირთვულ რეცეპტორებს სამიზნე უჯრედებზე 10-ჯერ

მეტი აფინურობით, ვიდრე T4. შედეგად, წარმოქმნილი ცილებისა და რეცეპტორების კომპლექსი (TR - thyroid hormone receptor) უკავშირდება ე.წ. ფარისებრი ჯირკვლის მოპასუხე ელემენტებს (TRE – thyroid hormone response element) სამიზნე გენებში, რაც არეგულირებს ტრანსკრიპციას. საბოლოოდ ძლიერდება ნახშირწყლების და ლიპიდების კატაბოლიზმი და ცილის სინთეზი, ანუ იზრდება ბაზალური მეტაბოლიზმი. სისხლში ცირკულაციაში მყოფი ჰორმონის 90%-ს T4 შეადგენს, თუმცა T3 პოტენციურად უფრო ძლიერი და ბევრად უფრო სწრაფი მოქმედებით ხასიათდება (Gomes-Lima, Wartofsky and Burman 2019).

სისხლში მოხვედრისას T4 და T3 ნაწილდება ორგანიზმში, ძირითადად, პლაზმის ცილებთან (თიროქსინშემბოჭველი გლობულინი, პრეალბუმინი (ტრანსთირეტინი), ალბუმინი) შეკავშირებული სახით. სისხლში ნახევარსიცოცხლის პერიოდი T4-თვის არის 7-9 დღე, T3-თვის - 2 დღე.

თავისუფალი იოდთირონინები შედარებით ადვილად აღწევენ უჯრედის მემბრანაში. თიროიდული ჰორმონების უჯრედშიდა ეფექტი მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი მეტაბოლიზმის პროცესებთან (უპირველეს ყოვლისა, დეიოდირების მექანიზმებთან). ასეთი გარდაქმნილებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია T4-ის კონვერსია უფრო აქტიურ T3-ად. იმის გამო, რომ თიროიდული ჰორმონების რეცეპტორებთან უშუალოდ ურთიერთქმედებს უპირატესად T3 და არა T4, ეს უკანასკნელი განიხილება როგორც პროჰორმონი, ხოლო T3 - როგორც ჭეშმარიტი ჰორმონი. T3 მოქმედებს სპეციფიკურ ბირთვულ რეცეპტორებზე, რომლებიც არიან უჯრედთა უმრავლესობაში და იწვევენ სხვადასხვა გენის ექსპრესიის ცვლილებას, რაც გამოვლინდება თიროიდული ჰორმონების ფიზიოლოგიური ეფექტებით, რომელთაგან უმთავრესია ძირითადი ცვლის რეგულაცია და შენარჩუნება. სისხლში მოცირკულირე T3-ის მხოლოდ 5-10% სინთეზდება უშუალოდ ფარისებრი ჯირკვალში; მისი დიდი ნაწილი წარმოიქმნება T4-ის დეიოდირების შედეგად პერიფერიულ ქსოვილებში. T4-ის T3-ად გარდაქმნა (კონვერსია) კატალიზდება სხვადასხვა დეიოდინაზებით, რომლებსაც აქვთ ქსოვილოვანი სპეციფიკურობა (Gomes-Lima, Wartofsky and Burman 2019; Osório 2014).

თიროიდული ჰორმონების მოქმედებით:

- აქტიურდება მიტოქონდრიული სუნთქვა და ჟანგვითი ფოსფორილირება.
- იზრდება, როგორც მიტოქონდრიების, ისე კრისტების რაოდენობა, ძლიერდება მიტოქონდრიული ცილების სინთეზი, ხოლო მათი დაშლის ინტენსივობა ქვეითდება.
- ძლიერდება ნახშირწყლების ათვისება წვრილ ნაწლავში.
- ენბრიონულ პერიოდში რეგულირდება სხეულის ნაწილების და სისტემების მორფოგენეზი, ცენტრალური ნერვული სისტემის განვითარება და ლიპიდების მეტაბოლიზმი (Gomes-Lima, Wartofsky and Burman 2019; Osório 2014).

2.2. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებათა კლასიფიკაცია

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების საერთო კლასიფიკაცია არ არსებობს. ყველაზე მარტივი პრინციპი, რომელიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ასეთ კლასიფიკაციას, არის ფუნქციური (სინდრომული) ანუ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციაზე დამოკიდებული (ჰიპერთირეოზი, ჰიპოთირეოზი, ეუთირეოზი) (Monaco 2003).

ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების კლასიფიკაციის სიმარტივისა და ლოგიკურობის მიუხედავად, მას აქვს ზოგიერთი ნაკლი. მათგან მთავარია ის, რომ უმრავლესი დაავადებების დროს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქცია არ არის სტაბილური. სახელდობრ, ფარისებრი ჯირკვლის ყველა დაავადება, რომელიც მიმდინარეობს დესტრუქციული თორეოტოქსიკოზით, სხვადასხვა ხანგრძლივობის ქრონიკული აუტოიმუნური თიროდიტის დროს ეუთიროიდული ფაზა შეიძლება დამთავრდეს სუბკლინიკური, შემდეგ კი აშკარა ჰიპოთირეოზით. იოდდეფიციტურ რეგიონებში მრავალკვანძოვანი ჩიყვის დროს თირეოციტების ფუნქციური ავტონომიის ზრდასთან ერთად, ეუთირეოზი თანდათან იცვლება თირეოტოქსიკოზით. ამის გამო, ამჟამად მიზანშეწონილია ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების დაყოფა მათი ეტიოლოგიის მიხედვით.

პოპულაციაში საერთო გავრცელების მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ფარისებრი ჯირკვლის აუტოიმუნურ პათოლოგიას. კიდევ უფრო ხშირად გვხვდება ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი ჰიპერპლაზიური პროცესები, კოლოიდური პროლიფერაციული ჩიყვის სხვადასხვა ფორმა (Monaco 2003; Klein et al. 1971). ჩიყვის ჩამოყალიბებას მრავალფაქტორული მიზეზი აქვს, რომელთა შორისაც ყველაზე გავრცელებულია ორგანიზმსა და ფარისებრ ჯირკვალში იოდის მიწოდების დეფიციტი. აქ აღსანიშნავია ზოგადად თიროიდული პათოლოგიის უნიკალური უნარი: ფარისებრი ჯირკვლის უმრავლესი დაავადების სპექტრი, გავრცელება და პროგნოზი ბევრად იქნება დამოკიდებული, იოდის როგორი მოხმარების (მცირე, ნორმალური, ჭარბი) რეგიონში ცხოვრობს პაციენტი.

ინფექციური თირეოპათიები (ქვემწვავე თიროიდიტის გარდა, რომლის ეტიოლოგიაც ბოლომდე გარკვეული არ არის) შედარებით იშვიათად აღინიშნება, ისევე, როგორც ყველა ენდოკრინული ჯირკვლის ინფექციური დაავადებები. ფარისებრი ჯირკვლის დაავადებების ცალკე კატეგორიებს მიეკუთვნება ნეოპლაზიები, რომლებიც მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ჰისტოპათოლოგიური სურათით და პროგნოზით, და თანდაყოლილი (მემკვიდრული) დაავადებები, რომელთა ნაწილის განვითარების უშუალო მიზეზიც დღეს უკვე ცნობილია (Bartolazzi and Gasbarri 2000).

ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული გარემოს მდგომარეობაზე. ფარისებრი ჯირკვალი ნატიფად რეაგირებს ბუნებრივ და ტექნოგენურ ფაქტორებზე, ამიტომ იგი ხშირად განიხილება, როგორც რეგიონის ეკოლოგიური არაკეთილსაიმედოობის მაჩვენებელი (Monaco 2003; Klein et al. 1971; Bartolazzi and Gasbarri 2000).

2.3. ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეები

ფარისებრი ჯირკვლის კიბო, სხვა ორგანოების სიმსივნეებთან შედარებით, იშვიათი დაავადებაა. მასზე მოდის ყველა ლოკალიზაციის კიბოს 1%-ზე ნაკლები, ხოლო სიკვდილიანობის 0,5%-ზე ნაკლები. ახალი შემთხვევების სიხშირეა 0,5-10 შემთხვევა

100000 მოსახლეზე წელიწადში. American Cancer Society-ის მონაცემებით აშშ-ში ყოველწლიურად დიაგნოსტირდება ფარისებრი ჯირკვლის კიბოს 18000 შემთხვევა, კვდება 1200 ადამიანი. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, ძირითადად, დიაგნოსტირდება კვანძოვანი ჩიყვის მქონე პაციენტების გამოკვლევის დროს. კვანძოვანი ჩიყვის ეტიოლოგიურ სტრუქტურაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოზე მოდის შემთხვევათა 1-4%.

პაპილური მიკროკარცინომების (დიამეტრი <1 სმ) გავრცელება, რომლებიც შემთხვევით აღმოჩნდება სხვა დაავადებების გამო ამოკვეთილი ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილის გეგმიური ჰისტოლოგიური გამოკვლევის დრო, აღწევს 10-20%-ს, ამ დროს ასეთი სიმსივნეების კლინიკური მნიშვნელობა შეზღუდულია. ფარისებრი ჯირკვლის კიბო, ძირითადად, გამოვლინდება 40-50 წლის ასაკში, იშვიათად ბავშვებსა და მოზარდებში. ქალებში უფრო ხშირია (2:1-3:1), მაგრამ ხანდაზმულ და მოხუცებულ ასაკში მამაკაცების ფარდობითი წილი რამდენადმე მაღალია (La Vecchia et al. 2014).

საქართველოს მონაცემები

საქართველოში მაღალია ფარისებრი ჯირკვალზე ჩატარებული ოპერაციების რიცხვი, 2020 წელს ენდოკრინულ სისტემაზე ჩატარებული 2131 ოპერაციიდან 2007 ოპერაცია განხორციელდა ფარისებრი ჯირკვალზე. ენდოკრინული სისტემის დარღვევების წილი საკმაოდ დიდია არაგადამდებ დაავადებათა შორის, განსაკუთრებით ეს ეხება შაქრიან დიაბეტსა და ფარისებრი ჯირკვლის დაავადებებს.

საქართველოში, 2020 წლის მონაცემებით, მაღალია ფჯ ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების სიხშირე. ქალებში რეგისტრირებული ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების 3 ყველაზე მაღალი ავადობის მქონე ლოკალიზაციიდან მეორე ადგილს იკავებს ფარისებრი ჯირკვლის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნები (სარძევე ჯირკვლის ავთვისებიანი ახალწარმონაქმნების შემდეგ). ფჯ კიბო მეორე ადგილს იკავებს კიბოს ახალი შემთხვევების ყოველწლიურ მონაცემებში (2015-2020 წწ.), კერძოდ, 2020 წელს დაფიქსირებული კიბოს 9435 ახალი შემთხვევიდან 821 შემთხვევა არის ფჯ კიბო

(დაახლოებით 8,7%) (დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი 2021).

ჯანმო-ს ინფორმაციით, უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის მანძილზე მკვეთრად გაიზარდა ფარისებრი ჯირკვლის კიბოს, განსაკუთრებით კი პაპილური მიკროკარცინომის დადასტურებული შემთხვევების რაოდენობა. ფარისებრი ჯირკვლის კვანძის დიაგნოსტიკის მიდგომათა ცვლილებამ, კერძოდ, ულტრაბგერითი და ულტრაბგერის კონტროლით ასპირაციული ნემსით აღებული მასალის ციტოლოგიურმა კვლევამ ნაწილობრივ ხელი შეუწყო მისი გამოვლენის სიხშირის ზრდას (Miccoli et al. 2006; Zimmermann et al. 2004).

ფარისებრი ჯირკვლის ნეოპლაზია მოიცავს რამდენიმე სახეობას სიმსივნის უჯრედული ტიპის მიხედვით. სიმსივნე შეიძლება განვითარდეს ამ ორგანოს ყველა პარენქიმული უჯრედიდან (A, B და C). სიმსივნეები შეიძლება იყოს კეთილთვისებიანი (ადენომა) და ავთვისებიანი (კიბო)(Nix, Nicolaidis and Coatesworth 2005).

ფარისებრი ჯირკვლის ადენომა, უჯრედული რესურსის მიხედვით განსხვავებულია. ასე, მაგალითად, ფოლიკულური ადენომა ვითარდება A და B უჯრედებისგან, შენებით უახლოვდება ნორმული ფარისებრი ჯირკვლის ქსოვილს, წარმოდგენილია მცირე ზომის (მიკროფოლიკულური) და შედარებით დიდი (მაკროფოლიკულური) სტრუქტურებით. სოლიდური ადენომა ვითარდება კალციტონინის მასინთეზებელი „C“ უჯრედებისგან.

ფარისებრი ჯირკვლის კიბო წარმოადგენს ფარისებრი ჯირკვლის კვანძების დაახლოებით 5-24%-ს და ყველა ავთვისებიანი სიმსივნეების \approx 1-2%-ს. ფარისებრი ჯირკვლის პაპილური კარცინომა (Papillary thyroid Carcinoma - PTC) შეადგენს ფარისებრი ჯირკვლის ყველა ავთვისებიანი სიმსივნეების დაახლოებით 80%-ს (Mokhtari, Eftekhari and Tahririan 2013; Wan Abdul Rahman et al. 2013). ფარისებრი ჯირკვლის კიბო ეს არის თიროიდული ეპითელიუმის (ფოლიკულური, პარაფოლიკულური) უჯრედებიდან განვითარებული ავთვისებიანი სიმსივნე, ძირითადად, მაღალდიფერენცირებული, რომლის კომპლექსური მკურნალობაც

შედარებით გვიან სტადიებზეც კი უზრუნველყოფს პაციენტთა დიდი რაოდენობის გადარჩენას და მათი ცხოვრების მისაღებ ხარისხს (Kakudo et al. 2012).

სიმსივნეები ხშირად ვლინდება პალპირებადი განცალკევებული კვანძების სახით. კვანძების სიმსივნური ბუნების ალბათობა უფრო მაღალია შემდეგი ფაქტორების დროს:

1. განცალკევებული კვანძი;
2. ახალგაზრდა ასაკი;
3. მამრობითი სქესი;
4. ანამნეზში კისრისა და თავის რეგიონის სხივური თერაპია;
5. „ცივი“ კვანძი (რადიაქტიური გამოკვლევისას რადიაქტიური იოდის შთანთქმა დაქვეითებულია) (Kakudo et al. 2012; Kakudo et al. 2013).

ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების ეტიოლოგია, ძირითადად, უცნობია. განსაკუთრებით განიხილება რადიაციული ფაქტორი. გარეგანი დასხივების დოზა, რომელიც იწვევს ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნის განვითარებას, უცნობია. მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ^{131}I დიაგნოსტიკურმა და თერაპიულმა დოზებმა შეიძლება გამოიწვიოს ფარისებრი ჯირკვლის კიბო, არ არსებობს. ყველაზე სავარაუდოა, რომ გარეგანმა დასხივებამ, ასევე შეიძლება გამოიწვიოს ფარისებრი ჯირკვლის კიბოს (ძირითადად, პაპილურის) განვითარება, უპირატესად ბავშვებსა და 20 წლამდე ახალგაზრდებში (Takamura et al. 2016). ჩერნობილის ატომურ სადგურზე ავარიის შემდეგ უკრაინაში ფარისებრი ჯირკვლის კიბოთი ავადობა ბავშვთა ასაკში 1985 წლიდან 1993 წლამდე გაიზარდა 34-ჯერ. ამავდროულად, პოლონეთის მოსაზღვრე რეგიონებში, სადაც ტარდებოდა მასობრივი იოდის პროფილაქტიკა, ეს არ მოხდა. აქედან გამომდინარე, რადიაქტიური იოდის გამოტყორცნას, სავარაუდოდ, აქვს კანცეროგენული მოქმედება უპირატესად იოდის დეფიციტის ფონზე იოდით გაღარიბებული ფარისებრი ჯირკვლის მიერ იზოტოპის აქტიური შთანთქმის გამო.

იოდის დეფიციტი ფარისებრი ჯირკვლის კიბოს განვითარების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია. ის იწვევს სისხლში თიროიდ მასტიმულირებელი ჰორმონის - TSH-ის დონის მომატებას, რომელიც თავის მხრივ ფარისებრი ჯირკვლის

ფოლიკულური უჯრედების ზრდის ძირითად ფაქტორად გვევლინება. დღესდღეობით, კვებისმიერი იოდდეფიციტი მსოფლიო მასშტაბით 2 მილიარდ ადამიანზე მეტს აღნიშნება, რაც საყოველთაო ჯანდაცვის პრობლემადაც კი გვევლინება. თუმცა უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მას შემდეგ, რაც ხელოვნურად განხორციელდა იოდის ჩანაცვლება, იმატა ჰიპერთირეოზით დაავადებულთა რაოდენობამაც, რაც შემდგომ იოდინდუცირებული თირეოტოქსიკოზის და აუტოიმუნური მრავალკვანძოვანი ჩიყვის განვითარების მიზეზი გახდა. ამ ფაქტზე დაყრდნობით, მნიშვნელოვანია მოხდეს იოდის დაბალი და მაღალი დონეების მონიტორინგი. იოდის ეფექტი დაკავშირებულია თირეოგლობულინის შინაგან მახასიათებლებთან, კონკრეტულად კი, მისი მოდიფიკაცია ინდუცირდება პოსტტრანსლაციური იოდინაციით, გენეტიკური მზაობის შემთხვევაში კი იოდი ინდუცირებას უკეთებს აუტოიმუნურ პროცესს, რადგანაც იწვევს თირეოგლობულინის კრიპტული ეპიტოპის მასკირებას. თავის მხრივ, აუტოიმუნური პროცესი ასოცირდება პაპილური კარცინომის მომატებულ რისკთან, ანუ ანთებითი პროცესი საფუძველს უდებს მალიგნურ ტრანსფორმაციას, რაც აღსანიშნავია სხვა ორგანოთა სიმსივნის ჩამოყალიბების დროსაც.

ჰისტოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით, ლიმფოციტური ინფილტრაციის არსებობა ჰაშიმოტოს თიროიდიტის ძირითადი მახასიათებელია, თუმცა პაპილურ კარცინომას, აუტოიმუნური პროცესის გარეშე, შეიძლება თან ახლდეს ლიმფოციტური ინფილტრაციების არსებობა, რაც, თავის მხრივ, სიმსივნურ პროცესზე იმუნური პასუხით არის განპირობებული (Fiore et al. 2009).

ფარისებრი ჯირკვლის მაღალდიფერენცირებული კიბოს (პაპილური და ფოლიკულური) უჯრედები, ნორმული თირეოციტების მსგავსად, ხასიათდებიან იოდის მიტაცების უნარით. მისთვის დამახასიათებელია ნელი ზრდა და საკმაოდ გვიანი მეტასტაზირება. სიმსივნური პროგრესის შორეულ ეტაპზე მეტასტაზების უჯრედებმა შეიძლება დაკარგონ დიფერენცირების და იოდის მიტაცების უნარი. ფარისებრი ჯირკვლის მედულური კიბო, რომელიც იშვიათად გვხვდება, წარმოიქმნება C-უჯრედებისგან, რომლებიც გამოიმუშავენ კალციტონინს. ეს კიბო ხასიათდება ნაადრევი მეტასტაზირებით და არაკეთილსაიმედო პროგნოზით (Xing 2013).

ფარისებრი ჯირკვლის კარცინომების პათოგენეზში მნიშვნელოვანია გენეტიკური და გარემო ფაქტორები.

გენეტიკური ფაქტორები განაპირობებს როგორც ოჯახურ, ისე არაოჯახურ (სპორადულ) კარცინომებს. ყველაზე ხშირი მემკვიდრული ხასიათი აქვს მედულურ კარცინომას. ფოლიკულური კარცინომის დროს ვლინდება RAS ოჯახის ონკოგენების (HRAS, NRAS, KRAS) მუტაცია, PAX8 და PPAR γ 1 გენების ტრანსლოკაცია t (2;3) (q13;p25), რომლის დროსაც წარმოიქმნება PAX8-PPAR γ 1 ჰიბრიდული გენი. პაპილური კარცინომის დროს აღინიშნება თიროზინკინაზური რეცეპტორების: RET (10q11) ან NTRK1 (neurotrophic tyrosine kinase receptor 1) (1q21) მაკოდირებელი გენების რეციპროკული ტრანსლოკაცია, რის შედეგადაც წარმოიქმნება ჰიბრიდული ret/PTC (ret/papillary thyroid carcinoma) გენი. აღინიშნება, ასევე, RAS (10-20%) და BRAF (30%) მუტაციები. ოჯახური მედულური კარცინომა ვითარდება II ტიპის მრავლობითი ენდოკრინული ნეოპლაზიის სინდრომის დროს და ხასიათდება RET გენის გერმინოგენული მუტაციით (95%). ზოგჯერ ანალოგიური მუტაცია ვლინდება სპორადული მედულური კარცინომის დროსაც. ანაპლაზიური კარცინომის დროს აღინიშნება p53 სიმსივნის სუპრესორი გენის წერტილოვანი მუტაციები (Patel and Singh 2006).

გასული ათწლეულის განმავლობაში ფჯ კარცინოგენეზის მოლეკულური საფუძვლების შესწავლაში მნიშვნელოვანი წინსვლა განხორციელდა. RET და TRK ტრანსლოკაცია, რომელიც პაპილური კარცინომის მახასიათებელია, დაკავშირებულია დნმ-ის ორჯაჭვიანი სტრუქტურის, ძირითადად, რადიაციით გამოწვეულ რღვევასთან. ბოლოდროინდელმა კვლევებმა აჩვენა, რომ პაპილური კარცინომა, რომელსაც არ ახასიათებს RET და TRK ტრანსლოკაცია, შეიძლება დაკავშირებული იყოს BRAF მუტაციებთან, რაც წარმოადგენს ონკოგენეზის განსხვავებულ გზას, ან RET სასიგნალო გზებში მონაწილე სხვა გენების ტრანსლოკაციასთან. კვლევების უმეტესობით დადგინდა, რომ RET ტრანსლოკაცია და BRAF მუტაციები ურთიერთგამომრიცხავია პაპილურ კარცინოგენეზში, თუმცა ერთეული კვლევების მონაცემებით, ამ ორი პროცესის თანხვედრა შესაძლებელია.

Kepal N. Patel და თანაავტორების აზრით, ფოლიკულური ნეოპლაზიების დროს დამახასიათებელია RAS მუტაციები, ხოლო ფოლიკულური კარცინომებისთვის - PAX8/PPAR γ ტრანსლოკაცია (Patel and Singh 2006). ადენომების RET გენის გერმინოგენული მუტაციები პასუხისმგებელია გენეტიკური მედულური კარცინომის განვითარებაზე, ხოლო სომატური მუტაციები ჩართულია სპორადული მედულური კარცინომის განვითარებაში. მედულურ კარცინომასთან დაკავშირებული RET მუტაციები არის წერტილოვანი მუტაციები ან ადგილი აქვს გენის მცირე ნაწილის დაკარგვას, პაპილურ კარცინომაში გამოვლენილი RET ტრანსლოკაციისგან განსხვავებით TP53 მუტაციები ფჯ არადიფერენცირებული კარცინომის ყველაზე გავრცელებული მოლეკულური მახასიათებელია. BRAF მუტაციები შეიძლება გამოვლინდეს იმ არადიფერენცირებულ კარცინომებში, რომლებიც პაპილური კარცინომის ვარიანტებია.

გარემო ფაქტორებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია თავისა და კისრის რეგიონზე მაიონიზებული გამოსხივების ზემოქმედება, განსაკუთრებით 20 წლამდე ასაკში (Gubetta and Costa 1978). ფოლიკულური კარცინომა შეიძლება განვითარდეს მრავალკვანძოვანი ჩიყვის ფონზე, ხოლო ფარისებრი ჯირკვლის ლიმფომა Hashimoto-ს თიროიდიტის ფონზე.

2.4. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ქვეტიპები

კარცინომა ხშირად ვითარდება ადენომიდან. უპირატესად ავადდებიან მოზრდილები, უფრო ხშირია ქალებში და მოიცავს შემდეგ ქვეტიპებს: პაპილური კარცინომა (75-80%); ფოლიკულური კარცინომა (10-20%); მედულური კარცინომა (5%); ანაპლაზიური კარცინომა (<5%) (La Vecchia et al. 2014).

ფოლიკულური კარცინომა ვითარდება ფოლიკულური ადენომისგან, წარმოდგენილია ატიპიური ფოლიკულური უჯრედებით, რომლებიც ჩაიზრდებიან კაფსულასა და სისხლძარღვებში. ფოლიკულური კიბო ხშირად იძლევა ჰემოგენურ მეტასტაზებს ძვლებში. ამ სიმსივნის ერთ-ერთი ვარიანტია ლანგჰანსის მოპროლიფერაციე სტრომა.

მასში არ ვლინდება უჯრედული ატიპიზმი, მაგრამ დამახასიათებელია ინფილტრირებული ზრდა და მეტასტაზები. „A“ უჯრედებისგან განვითარებულ ფოლიკულურ კიბოს ახასიათებს შედარებით კეთილსაიმედო მიმდინარეობა და პროგნოზი. მეტასტაზები ვითარდება ავადმყოფობის მოგვიანებით პერიოდში. „B“ უჯრედებისგან განვითარებული კიბოს პროგნოზი ნაკლებად კეთილსაიმედოა, რადგან ადრე იძლევა მეტასტაზებს ფილტვებსა და ძვლებში. ფოლიკულური კარცინომა შეადგენს ფარისებრი ჯირკვლის სიმსივნეების 10-20%-ს, უპირატესად ვითარდება 40-60 წლის ქალებში. მისი სიხშირე იზრდება იოდის დეფიციტის დროს (Phay and Ringel 2013).

მიელოიდური (მედულური) კარცინომის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელი - სიმსივნური სტრომის ამილოიდოზი, უკავშირდება „C“ უჯრედების დისპლაზიურ ცვლილებებს, შესაბამისად, სიმსივნის სტრომაში არსებული ამილოიდი წარმოადგენს „C“ უჯრედების მეტაბოლიზმის პროდუქტს (APUD-ამილოიდი, რომელიც ნეიროექტოდერმული გენეზისაა) (STAMATAKOS et al. 2010).

ანაპლაზიური კარცინომა ვითარდება უპირატესად ხანშიშესული ასაკის პირებში, ხშირია ქალებში. ჰისტოლოგიური სურათი წარმოდგენილია ჯგუფურად და უწყესრიგოდ დალაგებული სხვადასხვა ზომის სიმსივნური უჯრედებისგან, რომელთა ზომები მერყეობს ძალზე მცირედან (წვრილუჯრედოვანი კიბო) გიგანტურამდე (გიგანტურუჯრედოვანი კიბო) (Glaser et al. 2016).

